საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ49. 4926317001**

თარიღი:**13/11/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ნინო ლომიძის შვებულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. **ნინო ლომიძეს -** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს, ნება დაერთოს ისარგებლოს 2026 წლის ანაზღაურებადი შვებულებით, 5 სამუშაო დღე, 2026 წლის 18 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით.

2. არმყოფი მოხელის ფუნქციების შესრულება, დროებით დაეკისროს ამავე განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ნონა კობერიძეს.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს საშვებულებო თანხის გაცემა ნინო ლომიძისათვის, ხოლო ნონა კობერიძისათვის თანამდებობრივ სარგოებს შორის არსებული სხვაობის დანამატის სახით მიცემა.

4 . ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი